საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/57

ქ. ბათუმი

07 დეკემბერი, 2015 წ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის დისციპლინის უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N01-08/51 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის და ბსუ-ს შინაგანაწესის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის დისციპლინის უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N01-08/51 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 პუნქტი:

,, 10^1 . სარეგისტრაციო აპარატზე (ელექტრონული ტაბელზე) რეგისტრაციისათვის განკუთვნილი ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, ელექტრონული საქმისწარმოების წესის შესაბამისად წერილობით მიმართოს დამსაქმებელს და ახალი ბარათის დამზადებამდე სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ ფაქტი ასახოს საამისოდ განკუთვნილ ჟურნალში, რომლის წარმოებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (დარგობრივი დეპარტამენტი/დეკანი/დეპარტამენტის ან სამსახურის უფროსი/რექტორის ან /ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი). ჟურნალის წარმოება მოხდეს ელექტრონული ტაბელის შემოღებამდე დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

10^2. სარეგისტრაციო აპარატზე (ელექტრონული ტაბელზე) რეგისტრაციისათვის განკუთვნილი ბარათის ხელახალი დამზადების საფასური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე დასაქმებულს დაექვითოს მისი შრომის ანაზღაურებიდან, ამასთან, განმეორებითი დაკარგვის შემთხვევა განხილული იქნეს სამსახურებრივი განკარგულების/დავალების არაჯეროვან შესრულებად და დაწყებული იქნეს დისციპლინური საქმისწარმოება.

2. ბრძანება ბსუ-ს პერსონალისათვის საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს კანცელარიასთან, ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საინფორმაციო დაფებზე.
3. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 9 დეკემბრიდან.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**